ხელშეკრულება №12

The Way You Surf

შპს „ეარნეტი“-ს მომსახურების თაობაზე

ქ. ოზურგეთი 23 იანვარი 2015 წ.

სსიპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი” ს/კ: 237 113 850 წარმოდგენილი მისი მერის ბეგლარ სიორიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი”) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს „ეარნეტი“ წარმოდგენელი, მისი დირექტორი შოთა მიქაძის სახით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შ.პ.ს. „ეარნეტი” საშუალებას აძლევს შემსყიდველს ისარგებლოს ინტერნეტ ქსელით, მოემსახუროს მას შ.პ.ს. ეარნეტში არსებული საშუალებებით და პირობებით, გადასცეს დროებით სარგებლობაში ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შ.პ.ს. „ეარნეტი”-ს მიერ დაწესებული გადასახდელები, ქსელში ჩართვისა და მომსახურების საფასური გათვალისწინებული ამ ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად; CPV კოდი: 72410000 – პროვაიდერული მომსახურებები.

1.2. ინტერნეტ მომსახურეობა, მოიცავს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:

პაკეტის სახეობა	*სიჩქარე*	*მომსახურების სააბონენტო გადასახადი*	*ინსტალაციის ღირებულება*	
ეკონომ პაკეტი	*ლოკალური 2 მგ/წმ* *ლობალური 1 მგ/წმ*	*50 ლარი*	*180*	

1.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 730 (შვიდასოცდაათი) ლარს, 11 თვის მომსახურებისა და ინსტალაციის ღირებულების გათვალისწინებით.

2. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

2.1 დამკვეთი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.

2.2 დამკვეთი ვალდებულია დროულად დაფაროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3 ეარნეტი ინტერნეტ სერვისის ინსტალაციისას დამკვეთს დროებით სარგებლობაში გადასცემს მოწყობილობებს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის განმავლობაში მოწყობილობები შპს ეარნეტის საკუთრებაა, 36 თვის გასვლამდე აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტისას აუცილებელია 5 დღის ვადაში მოწყობილობის დაბრუნება, აღნიშნულ ვადაში <u>დაზიანებული მდგომარეობაში მოწყობილობის დაბრუნებისას ან დაუბრუნებლობის შემთხვევაში დამკვეთს ეკისრება მოწყობილობის საფასურის გადახდა</u> . (იხ. დანართი 1), მხარეები თანხმობას აცხადებენ რომ, 36 თვის გასვლის შემდგომ ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა გადადის დამკვეთის საკუთრებაში, იმ შემთხვევაში თუ, დამკვეთი იხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების საფასურს

2.4 დამკვეთს მოწყობილობის 36 თვის გამნავლობაში დაზიანების შემთხვევაში ერიცხება ეარნეტის მიერ დადგენილი მოწყობილობის <u>შეცვლა/ჩანაცვლების ღირებულება</u>* (იხ. დანართი 1) იმისათვის რომ მოხდეს მოწყობილობის შეცვლა/ჩანაცვლება აუცილებელია დაზიანებული მოწყობილობის ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთს ერიცხება მოწყობილობის დაუბრუნებლობის პირობით გათვალისწინებული თანხა.

3. შ.პ.ს „ეარნეტი“-ს უფლება-მოვალეობანი:

3.1 შ.პ.ს. „ეარნეტი“ ვალდებულია უზრუნველყოს და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

3.2 შ.პ.ს. „ეარნეტი“ უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე დროებით შეაჩეროს დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდება ქსელის ოპტიმიზაციის ან სარემონტო სამუშაოების გამო, ქსელის სრული ან გარკვეული სეგმენტის გათიშვით.

3.3 შ.პ.ს. „ეარნეტი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფუძველზე, თუ:

3.3.1 მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო.

3.3.2 დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.

3.3.3 დამკვეთის მიერ მომსახურების საფასურის თანმიმდევრულად 60 დღით გადაუხდელობის შემთხვევაში, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, შ.პ.ს. „ეარნეტი" უფლებამოსილია დემონტაჟი გაუკეთოს დამკვეთთან არსებულ ინტერნეტის მიმღებ მოწყობილობას და გააუქმოს ხელშეკრულება.

3.4 შ.პ.ს. „ეარნეტი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის რაც დამკვეთს შეიძლება მიადგეს დამკვეთის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად.

4. ფორს-მაჟორი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

4.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.).
ომი, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

4.3 მხარეები ფორს-მაჟორულ მოვლენად მიიჩნევენ შ.პ.ს. „ეარნეტი"-ს პარტნიორების მიერ შ.პ.ს. „ეარნეტი"-სათვის ინტერნეტ მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტას.

4.4 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. საზღაური მომსახურებისათვის:

5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს მომსახურების სააბონენტო გადასახადს ერთ კალენდარულ თვეში.

5.2 გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, წინასწარი გადახდისწესით, უნაღდო ანგარიშსწორების სახით.

5.3. შემდგომი თვის სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე დამკვეთს გაეთიშება ინტერნეტ მომსახურეობა.

5.4 მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ სააბონენტო და სხვა დავალიანების გადახდისას და ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ საწყის თარიღს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6.2 თუ დამკვეთი, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 1 კვირით ადრე მაინც არ აცნობებს კოპანიას წერილობით მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება სამთვიანი პერიოდით.

6.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, კომპანიის მოთხოვნით, თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ასლი თითოეული მხარისათვის.

დანართი №1

უკაბელო ინტერნეტის მიმღები მოწყობილობები	*ხელშეკრულების შეწყვეტისას მოწყობილობების <u>დაზიანებულ</u> მდგომარეობაში ან <u>დაუბრუნებლობის</u> ღირებულება*	*მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში დაზიანებული მოწყობილობის <u>შეცვლა/ჩანაცვლების</u> ღირებულება*	*პერიოდი, თვე*
ანტენა : NanoBridge 22 db, 25 db Feeds, Loco M5, Loco M2, AG M5 23db, 27db	*150*	*100*	*0 - 12*
	100	*80*	*12 - 36*
კვების წყარო : POE 24 V	*25*	*25*	*0 - 36*

შენიშვნა: მოწყობილობის, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მისი შეცვლა/ჩანაცვლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში არის უფასო.

7. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

<u>**შემსყიდველი:**</u>

სსიპ ქალაქ ოზურგეტის მუნიციპალიტეტი

ს/კ : 237 113 850

მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1

მობ: 551 19 91 91

მობ: 595 90 63 04

მუნიციპალიტეტის მერი:

ხელმოწერა: _____

<u>**შპს „ეარნეტი“**</u>

იურიდიული მისამართი: ქ.ოზურგეთი,
გოგებაშვილის ქუჩა №55-ა
ტელ: (+995 032) 2 195 111
მობ: 514 22 27 27
საიდენტიფიკაციო ნომერი: 437058103
ბანკი : „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE25BG0000000519835000

ხელმოწერა: _____